Важную роль в биосинтезе витаминов играют микроорганизмы. В связи с этим большое внимание уделяется почвенным микроорганизмам как продуцентам физиологически активных веществ. По данным М. Н. Мейселя [1], почвенная микрофлора может при благоприятных условиях вырабатывать за год сотни граммов и даже килограммы витаминов группы В на гектар. Выделение микроорганизмами витаминов в почву является одним из звеньев в сложных взаимоотношениях между низшими и высшими растениями.

Эти витамины способствуют лучшему развитию растения. Именно к таким микроорганизмам, продуцирующим витамины, относятся клубеньковые бактерии. За последнее время возросло число работ по изучению способности клубеньковых бактерий синтезировать витамины группы В. Большинство витаминов этой группы принимает непосредственное участие в процессе дыхания [2]. Как известно, в реакциях присоединения аммиака к органическим кислотам участвуют ферменты, у которых активной группой является витамин В₆. Можно предполагать, что снижение содержания витамина В₆ приводит к нарушениям биосинтеза некоторых аминокислот, в том числе и триптофана [3].

Учитывая большую роль витаминов в процессе метаболизма растений, мы попытались изучить роль клубеньковых бактерий в биосинтезе витаминов группы В. Свое исследование мы начали с определения витаминов в самом растении. В данной статье мы касаемся биосинтеза пиридоксина, пантотеновой и никотиновой кислот в листьях, корнях и клубеньках гороха сорта Ахалкалакский в условиях окультуренной и неокультуренной черноземной почвы Сартичала (Гарекахети).

Витамины определялись в динамике, по фазам развития гороха, в фазах полного роста, бутонизации, полного цветения и в начале созревания семян. В качестве тест-объекта для В₃ и В₆ был использован *Saccharomycodes ludvigii*, а для никотиновой кислоты—*Zygosaccharomyces marxianus*, штамм 737. Определение велось микробиологическим ме-

тодом, предложенным Н. А. Помощниковой [4]. Количественное определение проводилось по оптической плотности на фотоэлектроколориметре ФЭК-М56.



Рис. 1. Динамика накопления витамина B_6 по фазам развития в растении гороха: I—в листьях, II—в корнях, III—в клубеньках




Рис. 2. Динамика накопления витамина PP по фазам развития в растении гороха: I—в листьях, II—в корнях, III—в клубеньках

кислотой (рис 3). В листьях растений с окультуренной почвы она обнаруживается только в фазах полного цветения и созревания семян.

Почти для всех трех витаминов, которые мы исследовали, наивысшее содержание отмечается в третьей фазе в окультуренной почве. Содержание отдельных витаминов варьирует. Примерно в одинаковых количествах накапливаются в клубеньках никотиновая кислота и пиридоксин. Большое накопление пиридоксина, пантотеновой и никотиновой кислот в третью фазу, видимо обуславливается тем, что во время цветения, которое является важным этапом жизни растения, происходит переход от вегетативного роста к генеративному развитию. В это время происходят существенные изменения в обмене ве-

Полученные данные говорят о том, что динамика пиридоксина в клубеньках несколько отличается от динамики накопления пиридоксина в листьях и корнях. Вместе с тем, если максимальное накопление пиридоксина в клубеньках гороха в окультуренной почве совпадает с фазой полного цветения, то в условиях целины этот максимум наступает раньше—в фазе бутонизации. В листьях и корнях накопление пиридоксина возрастает параллельно с ростом и развитием растения и максимальное накопление отмечается в фазе полного цветения, после чего наступает постепенное его уменьшение.

Надо сказать, что повышение содержания витамина в клубеньках обуславливается жизнедеятельностью клубеньковых бактерий. Кривая на рис. 1 показывает, насколько велико накопление витамина B_6 в клубеньках. Почти то же можно сказать и о никотиновой кислоте (рис. 2). Совсем иначе обстоит дело с пантотеновой

щевь и значительные формообразовательные процессы, связанные с половым размножением, от которого зависит урожайность растения.

Наличие в клубеньках значительных количеств витаминов группы В, по сравнению с листьями и корнями, говорит о том, что клубеньки являются активным центром метаболических процессов. Можно заключить, что выделение витаминов свойственно, по-видимому, азотфиксирующим микроорганизмам, как свободноживущим, так и находящимся в симбиозе с растениями, т. е. клубеньковым бактериям.

Совсем другую картину дают растения, выращенные в некультуренной почве (см. таблицу). Пиридоксин в первой фазе не обнаруживается, но в фазе бутонизации его содержание уже достигает максимума. В дальнейших фазах оно постепенно уменьшается.

Никотиновая кислота же начинает накапливаться параллельно росту растения во всех его органах и в фазе цветения дает наивысшие показатели. Пантотеновую кислоту удалось обнаружить только в корнях и клубеньках. Накопление этого витамина выявляется с началом подготовки растения к цветению, а во время полного цветения оно достигает максимума.

Содержание витаминов В₆, РР, В₃ в растениях гороха (мг % на сухой вес) в некультуренной почве

Части растения	В ₆				РР				В ₃			
	Рост	Бутонизация	Цветение	Созревание семян	Рост	Бутонизация	Цветение	Созревание семян	Рост	Бутонизация	Цветение	Созревание семян
Листья	—	0,130	0,100	0,010	0,110	0,130	0,180	0,140	—	—	0,220	—
Корни	—	0,190	0,120	0,060	0,130	0,160	0,200	0,150	—	0,150	0,230	0,160
Клубеньки	—	0,250	0,140	0,090	0,160	0,200	0,280	0,210	—	0,105	0,190	0,120

По наблюдениям Е. Н. Ратнера и Н. Н. Доброхотовой [5], наиболее убедительное доказательство способности растений к поглощению корнями неизменных молекул витаминов извне и к передаче их в надземные органы может быть получено путем перехвата этих витаминов на пути их движения из корней в надземные органы. А. Г. Гебгардт [6] предполагает, что усиленное поступление азота в растение




Рис. 3. Динамика накопления витамина В₃ по фазам развития в растении гороха: I—в листьях, II—в корнях, III—в клубеньках

зависит не только от фиксации азота, но и от витаминов. Обогащение витаминами способствует более энергичному оттоку азота и фосфора в растущие части растений и, следовательно, играет определенную роль в обмене веществ между растением и азотобактером.

Вопрос о первоначальном происхождении витаминов в клубеньках бобового растения в определенных фазах развития, т. е. о том, образуются ли витамины клубеньковыми бактериями или растением, пока не решен. Полученные нами предварительные данные по определению пиридоксина, никотиновой и пантотеновой кислот в растении показывают, что клубеньковые бактерии сами образуют эти витамины в значительном количестве.

Выводы

1. Растение гороха содержит значительное количество витаминов: пиридоксина, пантотеновой и никотиновой кислот.

2. Корни более богаты витаминами, чем листья, причем особенно много их в клубеньках, что указывает на существенную роль клубеньковых бактерий в биосинтезе этих витаминов.

3. Наибольшего содержания все витамины достигают в фазу полного цветения.

4. Растения гороха, выращенные на окультуренной почве, несравнимо богаче пиридоксином, никотиновой и пантотеновой кислотами, по сравнению с выращенными на неокulturенной почве. Это тоже указывает на роль клубеньковых бактерий, которые в условиях культурной почвы развивают более высокую синтетическую активность.

Академия наук Грузинской ССР

Институт ботаники

(Поступило в редакцию 16.12.1967)

მიკრობიოლოგია

ც. ბეგიშვილი

პერიდოქსინის, პანტოტენის მჟავასა და ნიკოტინის მჟავას
 რაოდენობა პარკოსან მცენარე ბარდაში

რეზიუმე

ვიტამინების ბიოსინთეზში დიდ როლს ასრულებენ მიკროორგანიზმები. ამასთან დაკავშირებით უდიდესი ყურადღება ექცევა ნიადაგის მიკროორგანიზმებს, როგორც ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების პროდუცენტებს. სწორედ ასეთ მიკროორგანიზმებს მიეკუთვნებიან კოყრის ბაქტერიები.

მხედველობაში მივიღეთ, რა ვიტამინების როლი მცენარეთა მეტაბოლიზ-
მში, ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა კოჟრის ბაქტერიების როლი ვიტამინ B
ჯგუფის სინთეზში. ცდები დავიწყეთ ვიტამინების განსაზღვრით თვით მცენა-
რეთა ორგანოებში: ფოთლებში, ფესვებსა და კოჟრებში.

ჩატარებული ცდების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მცენარე საკ-
მაო რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს: B₆, B₃, PP-ს. განსაკუთრებით დიდი
რაოდენობითაა ისინი თავმოყრილი კოჟრებში, რაც კიდევ ურთხელ მიუ-
თითებს კოჟრის ბაქტერიების უდიდეს როლზე ვიტამინების ბიოსინთეზში.

დაამუშავებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. М. Н. Мейсель. Функциональная морфология дрожжевых организмов. Успехи биологической химии, изд. АН СССР, т. 1, 1950, 390.
2. Диксон и Уэбб. Ферменты. Изд. «Наука», 1966.
3. М. Я. Школьник. Микробиология и ее связь с регуляторами роста растений. Успехи современной биологии, т. 64, вып. 1 (4), 1967.
4. И. А. Помощникова. Микробиологический метод определения пантотеновой кислоты и пиридоксина. Витаминные ресурсы и их использование, сб. 3, изд. АН СССР, 1959.
5. Е. Н. Ратнер, И. И. Доброхотова. О возможности роли витаминов, продуцируемых почвенными микроорганизмами, в корневом питании растений. Физиология растений, т. 3, вып. 2, 1956.
6. А. Г. Гебгардт. Роль микроорганизмов в накоплении витаминов в почвах и поступление их в растения. Труды Ин-та микробиологии, вып. XI, изд. АН СССР, 1961.



რ. ბურჩიანი

ზოლიან ნაწ ვიწვოვანთა მემერქნიას (*TRYPODENDRON LINEATUM* OL.) გავრცელებისა და უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობის უმსავლისათვის ზემო სვანეთში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. კალანდამ 29.4.1967)

ზემო სვანეთში გავრცელებული წიწვოვანი ტყის ჯიშებს ეკუთვნის სოჭი, ნაძვი და ფიჭვი, მათ საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავთ, თუმცა ეს მდიდარი ტყეები არასწორი ექპლოატაციისა და ცუდი მოვლის შედეგად ზოგჯერ არასასურველ მდგომარეობაშია. ამ გარემოებამ გამოიწვია ისეთი საშიში მავნებლის მასობრივი გამრავლება, როგორცაა ექესკბილა ქერქიჭამია (*Ips sex-dentatus* Boern.), მბეჭდავი ქერქიჭამია (*Ips typographus*, L.), სოჭის დიდი ქერქიჭამია (*Pityocteinus curvidens* Germ.), ზოლიანი მემერქნია (*Trypodendron lineatum* Ol.) და სხვა.

უქანსკენელ წლებში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მესტიის სატყეო მეურნეობის ტყის კორომებში ზოლიანი მემერქნიას მასობრივად გავრცელება-გამრავლებამ. ჰადორნსა და ვ. სტარკს [1], აგრეთვე კოტნევისა [2] და სხვა მკვლევარებს საკმაოდ კარგად აქვთ შესწავლილი ზოლიასი მემერქნიას გავრცელება, მისი მკვებავი მცენარეები, უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობა, ბიოლოგია, ძირითადი მომენტები და სხვა, მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ ამ მავნებლის შესწავლა ზემო სვანეთის პირობებში, რადგან მისთვის აქ განსაკუთრებული მდგომარეობაა შექმნილი როგორც ცხოვრების პირობების მხრივ, ისე მისი მასობრივად გამრავლების ხელშემწყობი მიზეზების თავისებურებების სახით.

ზოლიან მემერქნიას ვსწავლობდით 1964—1966 წლებში მესტიის (ზემო სვანეთი) სატყეო მეურნეობაში. პირველ წელს ჩატარებულ იქნა მხოლოდ რეკონოსცირებული გამოკვლევები, რადგან მავნებელი მცირე რაოდენობით გვხვდებოდა და განსაკუთრებულ ყურადღებას არ იქცევდა.

1965 წლის აპრილის მესამე დეკადაში აღირიცხა მავნებლის გავრცელების ფართობები, რისთვისაც სამარშრუტო გამოკვლევები ჩატარდა 10—12 დღის განმავლობაში. ამ დროს ჩვენ ვლრიცხავდით მავნებლით მოდებულ ხეებს, მათ ჯიშს, ხნოვანებას, დასახლების სიმჭიდროვეს, დაზიანების ხასიათსა და ხეების მდგომარეობას (გაქერქილი, გაუქერქავი, ზეზემდგომი, წაქცეული,

მექანიკურად დაზიანებული და სხვა). ამავე დროს სხვადასხვა ზონაში შევარჩიეთ საშოდლო ხეები და საცდელი ნაკვეთები ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე. ასეთი სახის გამოკვლევები ჩატარდა მომდევნო თვეებშიც და განმეორდა 1966 წლის განმავლობაში. ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა მავნებლის მკვებავ მცენარეებს, დაზიანების ხასიათს, ჭიშების, ხნოვანებისა და ხის ფიზიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით. დაღვინილ იქნა მავნებლის უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობა სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში, როგორცაა დაჩრდილული, ნესტიანი, მზით განათებული ადგილები.

დაკვირვებებისა და ცდების შედეგები ადგილზე მოწმდებოდა და აღირიცხებოდა სპეციალურ ჟურნალებში. მოპოვებული მასალის საბოლოო დამუშავება მიმდინარეობდა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ტყის მავნებელთა და ავადმყოფობათა შემსწავლელი განყოფილების ლაბორატორიაში.

სტარკის [1] მიხედვით, ზოლიანი მემერქნია გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკაში. იაპონიაში, კურილის კუნძულებზე, მთელ ევროპაში, კავკასიაში, ყირგიზეთში, ციმბირში იმიგრბალყარეთისა და იაკუტიის ჩათვლით, ზღვისპირეთის მხარეში, სახალინზე, კამჩატკაზე და ა. შ.

ამიერკავკასიაში ამ მავნებლის გავრცელებაზე მიუთითებენ პ. ვინოგრადოვი-ნიკიტინი და ფ. ზაიცევი [3, 4] და დ. ლოხოვი [5]. რაც შეეხება საქართველოს, იგივე ავტორები და საქართველოს წიწვოვანი ტყის კორომების პათოლოგიური გამოკვლევის ჯგუფის წევრები—შ. სუპატაშვილი, თ. ჩაფიძე და სხვები ზოლიან მემერქნიას გავრცელებას მეტნაკლები რაოდენობით აღნიშნავენ ყველგან. წიწვოვანი ტყის გავრცელების ადგილებში.

ჩვენი გამოკვლევებით, ზოლიანი მემერქნია გავრცელებულია მესტიის სატყეო მეურნეობის მთელ ტერიტორიაზე. მისი მასობრივი კერები აღირიცხა ხაიშის სატყეოს 89, 90 და 91 კვარტალებში. მავნებელი მოდებული იყო ნაძვისა და სოჭის როგორც გაქერჩილ, ისე გაუქერჩავ მოჭრილ და წაქცეულ ყველა ხეზე, ნარჩენებზე, ნედლ ძირკვებზე, მექანიკურად დაზიანებულ ზეზემდგომ ხეებზე და ისეთ ხეებზეც კი, რომლებმაც უკვე განიცადეს სხვა მავნებლების თავდასხმა. მავნებელი დასახლებული იყო აგრეთვე გარეგნული შეხედვით საღ ზეზემდგომ ნაძვსა და სოჭზე (11 შემთხვევა). საღ ხეების დაზიანების რამდენიმე შემთხვევა იყო ლახაის სატყეოს 87 და 89 კვარტალებში 48—56 სმ დიამეტრის ნაძვისა და სოჭის ხეებზე.

ჭუბერის სახერხი ქარხნის საწყობში მავნებელი დასახლებული აღმოჩნდა შტაბელებად დაწყობილი ფიცრების ქვედა ნაწილში. მისი გავრცელება აღინიშნა აგრეთვე ხუბერის, ლახაძელის, ბეჩოს, მესტიისა და იფარის სატყეოებში.

ზოგი მკვლევარი ზოლიანი მემერქნიას დასახლებას აღნიშნავს ფოთლოვან ჭიშებზე—არყზე, თხმელაზე. ნ. კოტნევი [2] კი ფიქრობს, რომ შესაძლოა მკვლევარებმა *Trypodendron lineatum*-ად ჩათვალეს მისი მსგავსი *T. signatum* Fabr.

ჩვენ მიერ აღნიშნული მავნებლის დასახლება დადგენილ იქნა ცაცხვსა და წიფელზე, რაც დღემდე ლიტერატურაში არაა აღნიშნული. ლახამის სატყეოს № 65 კვარტალში მავნებელი აღინიშნა წინა წელს მოჭრილ 5-მეტრიანი გაუქმრქავე ცაცხვის კოტრზე (ნესტიან ადგილას). იგი განვითარებული იყო ჩვეულებრივად. მას გაკეთებული ჰქონდა 11 სმ სიგრძის სადედე სასველი და 100 სმ² ზედაპირზე აღირიცხა ხოჭოს 22 შესასველი ხერელი. მატლების რაოდენობა ერთ სადედე სასველში საშუალოდ 37-ს უდრიდა.

ჭუბერის სატყეოს დევრის ავარაქზე № 51 კვარტალში და ხაიშის სატყეოს № 78 კვარტალში მავნებელი ვიპოვეთ წიფელზეც. იგი მეტწილად დასახლებული იყო ნესტიან მხარეზე. ამ შემთხვევაში სადედე სასველეების სიგრძე 7 სმ-ს არ აღემატებოდა.

1966 წელს, წიწვოვანი ტყეების რეკოგნოსციური გამოკვლევის ექსპედიციაში მონაწილეობისას, დავადგინეთ, რომ ზოლიანი მემერქნია გავრცელებულია ყველგან, წიწვოვანი ტყის ჯიშების გავრცელების ადგილებში (მესტია, გუდაუთი, გულრიფში, გაგრა).

ზოლიანი მემერქნიას გავრცელება შეზღუდულია სიმაღლის მიხედვით ზღვის დონიდან. იგი მცირე რაოდენობით გვხვდებოდა იფარის სატყეოში, (1700 მ ზ. დონიდან). მაგრამ ეს გარემოება შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ იფარის სატყეოში არ მიმდინარეობს სამრეწველო ჭრა და მინიმუმამდე დაყვანილი ამ მავნებლის მასობრივად გამრავლების ხელშემწყობი პირობები.

ზოლიანი მემერქნია ღრმად ჩადის მერქანში და ჩანგლისებრი სადედე სასველეებს აკეთებს, რითაც იგი დიდ ტექნიკურ ზიანს აყენებს მას.

ვ. სტარკის [1] მონაცემებით, დედალი ხოჭო ღრუნის მერქანში 6—18 სმ სიგრძის სადედე სასველს, რომელიც ორტოტიანი ან ერთტოტიანია. ტოტები მიმართულია ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს და იწყება ხშირად ერთ, ზოგჯერ სხვადასხვა წერტილში. ისინი მეტწილად მიემართებიან წლიური რგოლების გასწვრივ; ზოგჯერ ოდნავ ირიბათაც და გადაკვეთენ წლიურ რგოლებს. სამატლე სასველეები განლაგებულია სადედე სასველის ორივე მხარეს, ზევით და ქვევით. მათი სიგრძე 1—2 სმ-ს არ აღემატება. ჩვენი მონაცემებით, ამ მავნებლის სადედე სასველეებს სიგრძე წიწვოვანებში აღწევდა 16 სმ-ს, ხოლო ფოთლოვან ჯიშებში არ აღემატებოდა 10—11 სმ ცაცხვზე და 6—7 სმ წიფელზე.

მართალია, ზოლიანი მემერქნიას სასველეებში სოკო *Monilia candida*-ს (ამპროზია) განვითარების საკითხი ჩვენ დეტალურად არ შეგვისწავლია, მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ სოკოს განვითარებას ადგილი ჰქონდა მისთვის ხელსაყრელ სინესტის არსებობისას მერქანში. ძლიერი ჰაერაციის პირობებში მოხვედრილ კოტრებში სოკო იღუპებოდა, ხოლო საკვები მასალის უქონლობის გამო მატლები და ახალგაზრდა ხოჭოები იხოცებოდნენ. სადედე სასველის კედლები შავდებოდა; იმ შემთხვევაში კი, როდესაც ხე ზედმეტი სინესტის პირობებში იმყოფებოდა, სოკოს მიცელიუმი ისე ძლიერად ვითარდებოდა, რომ იგი მავნებლის საკვებად გამოუსადეგარი ხდებოდა.

სოკოს განვითარება ხდება სადღეულო სასელოლის გასუფთავებასთან ერთად. მავნებლის მიერ სოკოს მთლიანი გახარჯვის შემდეგ სადღეულო სასელოლები შეედება. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი განვითარების ციკლი დამთავრდა.

ვ. სტარკის [1] მონაცემებით, ზოლიანი მემერქნია სახლეება ყველა სახის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაში მყოფ ხეებზე, რომელთა ხნოვანობას 15 წლის ასაკამდე მიუღწევია. დასასახლებლად იგი ირჩევს დაჩრდილულ და ტენიან ადგილებში მყოფ წაქცეულ ხეებს, რომლებიც მთელი ტენით მიწას ეხებიან. ცნობილია აგრეთვე, რომ მავნებელი უფრო ეტანება ხის ქვედა მხარესა და გვერდებს; ზედა მხარეზე იგი იშვიათად სახლეება. ეს მოსაზრება არაა გამართლებული სენიანის პირობებში. სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, ი. კოსტინი [6] ყაზახეთის პირობებისათვის აღნიშნავს, რომ მავნებელი ხშირად სახლეება ზეზემდგომ ხეებზე და იშვიათად წაქცეულებზე. ჩვენი დაკვირვებებით, მავნებელი უფრო ეტანებოდა წაქცეულ ცუდად გაქრჩილ ხეებს, რომლებსაც შერჩენილი ჰქონდათ ლაფანი. მასობრივი გამრავლების დროს კერებში ზოლიანი მემერქნია სახლეება სად ხეებზეც (2,5 მ სიმაღლემდე) და ნედლ ძირკვებზე.

ჩვენ გვინდოდა დაგვედგინა—მავნებელი სახლეება თუ არა სუფთად გაქრჩილ ხეებზე. ამ მიზნით მოვჭერით რამდენიმე ძირი ნაძვი და სოკვი. მათ სუფთად გავაცალეთ ქერქი ლაფნიანად. ამ შემთხვევაშიც მავნებელი თავისუფლად დასახლდა მათზე.

ლიტერატურული წყაროების [7] მიხედვით, ზოლიანი მემერქნია ძლიერ აზიანებს შემოდგომა-ზამთარში (ოქტომბერი—თებერვალი) დამზადებულ ხე-ტყის მასალას, ხოლო მარტ-აპრილში და აგვისტოში მოჭრილი ხე-ტყე არ აზიანდება მავნებლისაგან, რადგანაც პირველ შემთხვევაში მერქანი ზედმეტ ტენს შეიცავს, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირიქით, ზედმეტადაა გამოშროალი. მაგრამ ჩვენი დაკვირვებებით არც ეს დებულება გამართლდა ზემო სენიანის პირობებში, რადგან ადგილი ჰქონდა მარტ-აპრილში მოჭრილ ხე-ტყეზე მავნებლის დიდი რაოდენობით დასახლებას, თუმცა აგვისტოში მოჭრილ ხე-ტყეზე მავნებელი ნაკლები რაოდენობით სახლეებოდა იმ შემთხვევაში, თუ ხე-ტყე არ იყო მოთავსებული ნესტიან ადგილას.

ზოლიანი მემერქნიას უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობა ძალზე დიდია. იგი ტექნიკურად აზიანებს მერქანს, რაც დამუშავების დროს დიდ დანაკარგს იძლევა. ასეთი მასალა ქალაქის წარმოებისათვის უხარისხოა. ამასთან იგი წარმოადგენს მერქნის „სილურჯის“ გამომწვევი სოკოების (*Ceratostoma pilifera*) გამავრცელებელს. ზოლიანი მემერქნია მასობრივი გამრავლების დროს ხშირად სახლეება იწიფოვანი ჯიშის სად ხეებზე და ანადგურებს მათ. იმის გამო, რომ მესტიის სატყეო მეურნეობაში არ იყო დაცული ტყის მოვლისა და გაზაყენების წესები, ადგილი ჰქონდა ამ მემერქნიას მრავალი და ძლიერი კერების წარმოშობას. ხაიშის სატყეოში მავნებლის კერას მარტო 89, 90, 91 კვარტალებში ეჭირა 12 ჰექტარი.

1964 წელს 89-ე კვარტალში არსებულ ბაქანზე დარჩა დამზადებული ხე-ტყისა და დამზადების ნარჩენების დიდი რაოდენობა, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა მავნებლის მასობრივად გავრცელება-გამრავლებისათვის. ამის გამო ჩვენ დავაყენეთ საკითხი ზოლიანი მემერქნიას კერების ლიკვიდაციის შესახებ. სატყეო მეურნეობამ 1966 წელს ჩაატარა ღონისძიებები, რის შედეგადაც მავნებლის გავრცელება შეზღუდულ იქნა.

ზოლიანი მემერქნიას მკვებავი მცენარებიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკვლევარები ასახელებენ წიწვოვანთა თითქმის ყველა ჯიშს, აგრეთვე ფოთლოვანებიდან არყსა და მურყანს, მაგრამ მის ძირითად მკვებავ მცენარეებად მაინც ნაძვსა და ფიჭვს თვლიან. ზემო სვანეთის პირობებში ჩვენ მიერ დადგენილ იქნა, რომ ეს მავნებელი ძლიერ აზიანებს ნაძვსა და სოჭს (თანაბრადა), უფრო მცირედ—ფიჭვს. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ ზემო სვანეთში გაბატონებული ჯიშებია სოჭი და ნაძვი, ხოლო ფიჭვი მავნებლის კერების არსებობის ადგილებში მცირე რაოდენობით გვხვდება. ზემო სვანეთის პირობებში ზოლიანი მემერქნია იშვიათად სახლდება ცაცხვსა და წიფელზე.

საქართველოს სსრ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 29.4.1967)

ЭНТОМОЛОГИЯ

Р. Р. ГУРЧИАНИ

К ИЗУЧЕНИЮ РАСПРОСТРАНЕНИЯ И ОТРИЦАТЕЛЬНОГО
ХОЗЯЙСТВЕННОГО ЗНАЧЕНИЯ ПОЛОСАТОГО ИЛИ
ХВОЙНОГО ДРЕВЕСИННИКА (*TRYPDENDRON LINEATUM* OL.)
В ВЕРХНЕЙ СВАНЕТИИ

Резюме

В течение 1964—1966 гг. имело место массовое размножение полосатого древесинника в Местийском лесхозе (Верхняя Сванетия). Особенно большие очаги этого вредителя были зарегистрированы в Хаишском, Чуберском и Лахамском лесничествах, где в первую очередь сплошь были заселены сваленные и срубленные деревья, в особенности в условиях сильного затенения и влажности. Было также отмечено, сравнительно в редких случаях, заселение этим вредителем стоячих и на вид здоровых деревьев.

Из хвойных пород сильно повреждались ель и пихта, довольно редко — сосна, а из лиственных пород — липа и бук (несколько случаев).

Выяснилось, что полосатый древесинник поражает стоячие деревья разного физиологического состояния диаметром свыше 30 см, а также свежие пни высотой не менее 25—30 см.

Не подтвердились литературные данные о незаражении заготовленных деревьев в марте-апреле и в августе.

დასაწყობებელი ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. В. Н. Старк. Фауна СССР. Жесткокрылые, короеды (*Ipidae*), т. XXXI. Изд. АН СССР, М.—Л., 1952.
2. Н. И. Коротнев. Короеды... Экология короедов Восточной Европы, Кавказа и Сибири. М., 1926.
3. П. В. Виноградов-Никитин и Ф. З. Зайцев. Материалы к изучению короедов Кавказа. Изв. Тифлисск. Гос. политехи. ин-та, II, 1926.
4. Ф. А. Зайцев. Обзор фауны короедов Грузии (*Coleoptera, Solytidae*). Труды Ин-та зоологии АН ГССР, IX, 1950.
5. Д. И. Лозовой. Хозяйственно-важные виды короедов хвойных (еловых) насаждений Грузии и меры борьбы с ними. Изд. «Мецниереба», Тбилиси, 1966.
6. И. А. Костин. Стволловые вредители хвойных лесов Казахстана. Изд. АН КазССР, Алма-Ата, 1964.
7. В. И. Гусев, И. И. Полубояринов и др. Лесная энтомология. Гослестехиздат, Л., 1935.



ი. ახალაია

რადიობიოლოგიურ ეფექტში სპერმატოზოიდისა და კმერცხუჭრამდის რადიაციული დაზიანების შეფარდებითი როლის შემსწავლისათვის აბრეშუმის ჭიანჭი

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. კალანდამ 2.11.1967)

რადიობიოლოგიურ ეფექტში კვერცხუჭრამდისა და სპერმატოზოიდის რადიაციულ დაზიანებათა შეფარდებითი როლისა და მნიშვნელობის საკითხი, რადიობიოლოგიური კვლევის დაწყებიდანვე მკვლევართა ყურადღების ცენტრშია. ჯერ კიდევ ჰერტვიგმა [1] აჩვენა, რომ ამფიბიის ჩასახვის განვითარებაზე რადიაციის მავნე გავლენა დაახლოებით თანაბარია იმის მიუხედავად, თუ რომელი გამეტა ექვემდებარება განაყოფიერების წინ მაიონიზებელი რადიაციის ზემოქმედებას: სპერმატოზოიდი, რომელიც პრაქტიკულად მხოლოდ ზირთისაგან შედგება, თუ კვერცხუჭრამდი, რომელიც დიდად აღემატება სპერმატოზოიდს თავისი ცოცხალი მასით, ოვოლაზმითა და საკვები ნივთიერებით. შემდგომში მრავალი გამოკვლევით [2—4] დადასტურდა ციტოპლაზმით მდიდარი კვერცხუჭრამდის რადიაციული დაზიანების განსაკუთრებული მავნე მნიშვნელობა ჩანასახის განვითარებაში.

ამ შრომის მიზანია კვერცხუჭრამდისა და სპერმატოზოიდის რადიაციული დაზიანების შეფარდებითი როლის შესწავლა იმ რადიობიოლოგიურ ეფექტში, რაც მიიღება მაიონიზებელი ფაქტორის მოქმედებით აბრეშუმის ჭიის ონთოგენეზის სხვადასხვა ფაზაზე. ეს საკითხი გარკვეულ ინტერესს იწვევს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ცდები ჩატარდა აბრეშუმის ჭიაზე (ჯიში—თეთრაპარკოვანი № 1), რომელიც მისთვის დამახასიათებელი ბიოლოგიური თავისებურებების გამო რადიობიოლოგიური კვლევის ზედმიწევნით ხელსაყრელ ობექტს წარმოადგენს. ამასთან, ამ ორგანიზმის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა კიდევ უფრო ზრდის მასზე ჩატარებული გამოკვლევების აქტუალობას.

იმ ცდებში, რომელთა შედეგები განხილულია ამ წერილში, მაიონიზებელ ფაქტორად გამოყენებულ იქნა რენტგენის სხივები და გამა-გამოსხივება (წყარო— Co^{60} , დოზა—1500 რ).

აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედებას დაექვემდებარა აბრეშუმის ჭია ონთოგენეზის სხვადასხვა ფაზაზე (ჩანასახი, მატლი). დასმული საკითხის გამოსაკვლევად დამზადებულ იქნა გრენა ნადებებად ონთოგენეზის სხვადასხვა ფა-

ზაზე დასხივებული მშობლების ურთიერთშეჯვარებით ისეთი სქემის მიხედვით, რომლის დროსაც დასხივებული მდედრი ეჯვარება დაუსხივებელ მამრს და პირიქით, დასხივებული მამრი—დაუსხივებელ მდედრს. საკონტროლოდ დამზადებულ იქნა გრუნა ნადებებად დასხივებული, აგრეთვე დაუსხივებელი მშობლებისაგან.

შეჯვარების იმ კომბინაციას, სადაც მონაწილეობს ონთოგენეზის ამა თუ იმ ფაზაზე დასხივებული მდედრი და დაუსხივებელი მამრი, პირობითად აღვნიშნავთ I-ით, ხოლო რეციპროკულ შეჯვარებას—II-ით; საკონტროლო შეჯვარებას კი—III-ით (შეჯვარებაში მონაწილე მდედრიც და მამრიც დასხივებულია ონთოგენეზის ამა თუ იმ ფაზაზე) და IV-ით (დაუსხივებელი მდედრი ეჯვარება დაუსხივებელ მამრს).

რენტგენისა და გამა-სხივების მოქმედების შედეგებს შრომაში ცალკეულად არ ვიხილავთ, რადგანაც ორივე შემთხვევაში ერთნაირი ბიოლოგიური ეფექტი მიიღება.

გრენის შენახვისა (ესტრადიისა და დიჰაუზის პერიოდში) და ინკუბაციის პირობები მაქსიმალურად ერთნაირი იყო ცდისა და საკონტროლო ვარიანტის ნადებებისათვის. ჭიების გამოყვება ჩატარდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის ექსპერიმენტულ ბაზაზე 1964—1966 წლების გაზაფხულის სეზონში. შესწავლილ იქნა ჭიების ემბრიონალური განვითარების, ცხოველმყოფელობის, ზრდის, აბრეშუმიახობის, პეპლების ნაყოფიერების მაჩვენებლები ოჯახების (ნადებების) მიხედვით. მიღებული მასალა დამუშავდა ეარიაციული სტატისტიკის მეთოდით.

ონთოგენეზის სხვადასხვა ფაზაზე (ჩანასახი, მატლი) მაიონიზებული რადიაციის მოქმედებით საგრძნობლად ეცემა აბრეშუმის ჭიის ემბრიონალური განვითარების, ზრდის, აბრეშუმიახობის, ნაყოფიერებისა და სხვა ბიოლოგიურა და სამეურნეო მაჩვენებლები.

რადიობიოლოგიური ეფექტის გამოვლენების თავისებურება F₁-ში შეჯვარების სხვადასხვა კომბინაციის მიხედვით

ცდის ვარიანტი	შეჯვარების კომბინაცია	გრუნდან მუშის გამოსვლა %-ით	ჭიის ზრდისა და აბრეშუმიახობის მაჩვენებლები			ნაყოფიერების მაჩვენებლები	
			წელი პარკის წონა, მგ-ით M±m	გარსის წონა, მგ-ით M±m	გარსის %-ით	კვერცხე- ბის საერთო რაოდ. ნადებში	გაუნაყოფი- რებელი კვერ- ცხების რაოდ. ნადებში, %-ით
ჩანასახის ფაზაზე დასხივებული	I	44,0	1212,7±45,0	213,3±8,3	17,5	386	6,7
	II	47,2	1270,5±50,8	221,4±7,4	17,4	584	17,8
	III	36,4	—	—	—	—	—
მატლობის ფაზის V ასაკში დასხივებული	I	51,5	1316,5±56,8	219,6±14,0	16,7	531	7,3
	II	59,8	1396,9±40,3	239,7±9,5	16,5	672	10,5
	III	47,6	1313,3±46,0	220,6±7,8	16,8	485	19,3
კონტროლი	IV	91,4	1652,2±35,3	317,8±10,7	19,2	666	1,5

აბრეშუმის ჭიის ზრდასა და განვითარებაში ონთოგენეზის სხვადასხვა ფაზაზე მათიონიზებული რადიაციით ინდუცირებული ცვლილებების F_1 და F_2 თაობებში გამოვლინების ანალიზი, შეჯვარების სხვადასხვა კომბინაციის მიხედვით, შესაძლებლობას იძლევა დავაზუსტოთ საერთო რადიობიოლოგიურ ეფექტში კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის რადიაციული დაზიანებების შეფარდებითი როლი.

როგორც ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, ძლიერ დაბალია (36,4%) F_1 -ის ემბრიონალური განვითარების მაჩვენებლები შეჯვარების იმ კომბინაციაში, სადაც ორივე მშობელი დაექვემდებარა მათიონიზებული ფაქტორის ზემოქმედებას ჩანასახოვანი განვითარების ფაზაზე. დომინანტური ლეტალური ფაქტორებით გამოწვეული ჭიების მასობრივი სიკვდილიანობის გამო ცდას ამ ვარიანტში ზრდა დაასრულა და პარკი აახვია მხოლოდ მამრობითი სქესის ორმა ინდივიდმა.

ჭიების ემბრიონალური განვითარების, ზრდის, აბრეშუმისა და ნაყოფიერების (კვერცხების რაოდენობა ნადებში) მაჩვენებლები, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო დაბალია ცდის იმ ვარიანტებში, სადაც ონთოგენეზის სხვადასხვა ფაზაზე (ჩანასახი, მატლი) დასხივებული მდედრი ეჯვარება დაუსხივებელ მამრს. აღსანიშნავია, რომ პირველი თაობის ჩანასახების სიკვდილიანობა გაცილებით უფრო მეტია რადიაციული დაზიანების მქონე კვერცხუჯრედის ნაყოფიერებისას ნორმალური სპერმატოზოიდით, ვიდრე შებრუნებული კომბინაციის შემთხვევაში. ასე, მავალითად, ემბრიონალური განვითარების მაჩვენებელი შეჯვარების პირველ ვარიანტში 44,0%-ს უდრის; მეორე ვარიანტში კი— 47,2%-ს. ასეთი სურათი შეიმჩნევა ჩვენ მიერ დიდი რაოდენობით შესწავლილ ყველა ნადებში (ოჯახში).

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აბრეშუმის ჭიის ჩანასახის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს რადიაციის მოქმედებით გამოწვეულ ბირთვულ დაზიანებებთან ერთად ცვლილებები კვერცხუჯრედის ციტოპლაზმასა და მის იმ სტრუქტურებში, რომლებსაც განსაკუთრებული ბიოლოგიური როლი ენიჭებათ უჯრედის როგორც ერთი მთლიანი სისტემის ცხოველმოქმედების პროცესებში.

აღსანიშნავია, რომ სასქესო უჯრედების რადიაციული დაზიანებით გამოწვეულ სტერილობაში გაცილებით მეტ როლს ამჟღავნებს სპერმატოზოიდის დაზიანება, კვერცხუჯრედის დაზიანებასთან შედარებით. როდესაც განაყოფიერების პროცესში მონაწილეობს რადიაციული დაზიანების მქონე სასქესო უჯრედები, სტერილობაც გაცილებით უფრო მაღალია (19,3%), საკონტროლოსა (1,5%) და აგრეთვე იმ ვარიანტების სტერილობასთან შედარებით, სადაც რადიაციული დაზიანება მიყენებული აქვს ერთ-ერთ სასქესო უჯრედს—კვერცხუჯრედს ან სპერმატოზოიდს. მაგრამ, როგორც ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს, სტერილობა გაცილებით უფრო მეტია (17,8; 10,5%) სპერმატოზოიდის რადიაციული დაზიანებისას, ვიდრე კვერცხუჯრედის რადიაციული დაზიანების შემთხვევაში (6,7; 7,3%).

საკუთარი ექსპერიმენტული მონაცემებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ გავიზიარებთ შეხედულებას იმ მკვლევარებისას [5—10], რომლებიც მთლიანად უარ-

ყოფენ ციტოპლაზმის რადიაციული დაზიანების როლს რადიობიოლოგიურ ეფექტის გამოწვევაში. როგორც ჩანს, ციტოპლაზმა, მიუხედავად მისი გაცულებით ნაკლები რადიომგრძობელობისა, ბირთვთან შედარებით, მაიონიზებული ფაქტორის ზემოქმედებით განიცდის გარკვეულ დაზიანებებს, რაც განსაკუთრებით საშიშია ჩანასახის განვითარებისათვის. სწორედ ამით არის გამოწვეული ჩანასახის მაღალი სიკვდილიანობა ემბრიოგენეზის სხვადასხვა სტადიაზე შეჯვარების იმ კომბინაციებში, სადაც მონაწილეობს რადიაციული დაზიანების მატარებელი კვერცხუჯრედი. ეს კანონზომიერება ვლინდება არა მარტო პირველ თაობაში, არამედ დასხივებული მშობლებიდან მიღებულ მეორე თაობაშიც.

დასკვნები

1. შრომაში წარმოდგენილი ექსპერიმენტული მასალა ნათლად მეტყველებს აბრეშუმის ჰიის ონთოგენეზის სხვადასხვა ფაზაზე მაიონიზებული რადიაციის მოქმედებით გამოწვეულ ბიოლოგიურ ეფექტში კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის რადიაციულ დაზიანებათა არათანაბარი როლის შესახებ.

2. რადიაციის ბიოლოგიურ ეფექტში, რაც მომდევნო თაობების ემბრიონალური განვითარების, ზრდისა და ნაყოფიერების მაჩვენებლებში ვლინდება, აშკარაა კვერცხუჯრედის, ხოლო სტერილობისა და აბრეშუმთანობის მაჩვენებლებში—სპერმატოზოიდის, რადიაციულ დაზიანებათა უპირატესი როლი.

3. მიღებული შედეგები გვიჩვენებენ მაიონიზებული რადიაციის დაზიანებელ მოქმედებას სასქესო უჯრედების არამარტო ბირთვზე და მის შემკვიდრული ინფორმაციის მატარებელ უნიკალურ სტრუქტურებზე (ქრომოსომები), არამედ ციტოპლაზმაზედაც, რომლითაც განსაკუთრებით მდიდარაა კვერცხუჯრედი, სპერმატოზოიდისაგან განსხვავებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(რედაქციას მოუვიდა 2.11.1967)

ЭНТОМОЛОГИЯ

Я. Г. АХАЛАЯ

К ИЗУЧЕНИЮ ОТНОСИТЕЛЬНОЙ РОЛИ РАДИАЦИОННЫХ ПОРАЖЕНИЙ СПЕРМАТОЗОИДА И ЯИЦЕКЛЕТКИ В РАДИОБИОЛОГИЧЕСКОМ ЭФФЕКТЕ У ТУТОВОГО ШЕЛКОПРЯДА

Резюме

Установлено, что действием ионизирующей радиации прежде всего поражаются ядерные структуры половых клеток. Однако в работе приводятся экспериментальные данные, свидетельствующие о поражающем воздействии радиации и на цитоплазму. Эти радиационные

поражения проявляются в более высоком проценте (49,3) смертности зародышей, полученных в результате оплодотворения поврежденных радиацией яйцеклеток нормальными сперматозоидами, чем при обратной комбинации (35,0). Такая же картина наблюдается и в отношении роста гусениц и плодовитости бабочек. Радиационные же поражения сперматозоида особенно вредно сказываются на шелконосности гусениц и оплодотворяющей способности половых клеток.

დამოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. P. Hertwig. Partielle Keimchädigungen durch Radium und Rontgenstrahlen. Handb. Vererb. Wiss, 3, 1, 1927.
2. Б. Л. Астауров. Искусственные мутации у тутового шелкопряда (*Bombyx mori* L.). Опыт получения мутации действием рентгена. Биологический журнал, т. 4, № 1, 1935.
3. Б. Л. Астауров и С. А. Фролова. Искусственные мутации у тутового шелкопряда (*Bombyx mori* L.). Стерильность и аномалии сперматогенеза в потомстве ренгенизованных бабочек. Биологический журнал т. 4, № 5, 1935.
4. H. J. Muller. Biological effects of radiation with especial reference to mutation, Actual. Scin. tif. industrielles, № 725, 1938.
5. Б. Л. Астауров. Прямое доказательство ядерной природы биологического эффекта... Журнал общей биологии, 8, 1934.
6. Б. Л. Астауров. Экспериментальные доказательства отсутствия прямого повреждающего действия рентгеновых лучей... ДАН СССР, 58, 1948.
7. Б. Л. Астауров. Дифференциальный эффект радиационных повреждений ядра... Булл. Моск. о-ва исп. природы, отд. биол., 63, 1958.
8. Б. Л. Астауров. Функциональный принцип в оценке относительной значимости радиационных поражений ядра... В сб.: «Первичные механизмы биологического действия ионизирующих излучений», изд. АН СССР, М., 1963.
9. М. Н. Мейсель. Биологическое действие излучения. Медгиз, М., 1958.
10. В. А. Струнников. Относительный эффект первичных радиационных повреждений ядра... Цитология, т. 2, № 5, 1960.

ჯ. ბარამი, ე. ახვლედიანი

ბუჩქის მემინდვრიას (*PITYMYS MAJORI THOM.*) მიმღებლოზის
შესწავლის შედეგები მღრღნელების ტიფის ბაქტერიებისაღმ

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. კალანდაძემ 5.9.1967)

უკანასკნელ ხანებში თავისნაირი მღრღნელების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბრძოლის ბაქტერიოლოგიურ მეთოდს. ბრძოლის სხვა მეთოდებთან შედარებით, იგი ხასიათდება შემდეგი უპირატესობით: მაღალეფექტურია, სპეციფიკურია მხოლოდ მღრღნელებისათვის, სრულიად უვნებელი ადამიანისა და სასარგებლო ფაუნისათვის. ამიტომ მისი გამოყენებისას არაა საჭირო საკარანტინო ღონისძიებათა ჩატარება; ამავე დროს ბაქტერიით გამოწვეული ეპიზოტიები ვრცელდება ჭანმრთელ მღრღნელებს შორის [1—4]. ბრძოლის ბაქტერიოლოგიური მეთოდი საქართველოში გამოყენებული იყო ჩვეულებრივი და საზოგადოებრივი მემინდვრიების წინააღმდეგ და მოგვცა კარგი შედეგები [1,5].

რაც შეეხება ბუჩქის მემინდვრიის მიმღებლობას მღრღნელების ტიფის ბაქტერიებისაღმ, გამოკვლევები ამ მიმართულებით არ ჩატარებულა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში, თუმცა ამ საკითხის შესწავლას დღეისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მიზნად დავისახეთ ბუჩქის მემინდვრიას მიმღებლობის შესწავლა მღრღნელების ტიფის ბაქტერიებისაღმ (პროხოროვი № 5170 და ისაჩენკო) ამ მანებელთან ბრძოლის ბაქტერიოლოგიური მეთოდის შესაძლებელი გამოყენების დასადგენად საქართველოს პირობებისათვის.

ცდებისათვის მემინდვრების მოპოვებას ვაწარმოებდით მათი სტაციონარული გავრცელების ადგილებში: ცოცხალმჭერი ხაფანგებით, ვამყოფებდით კარანტინში 5—10 დღე-ღამის განმავლობაში და ვაძლევდით მაღალვირულენტურ პრეპარატს. საცდელ და საკონტროლო მღრღნელებს ვკვებავდით სრულფასოვანი საკვებით. პრეპარატს ვამზადებდით ზორბლის მარცვალზე, სსრკ სასოფლო-სამეურნეო მიკრობიოლოგიის ინსტიტუტიდან მიღებული შტამებით (საერთოდ ცნობილი მეთოდიკის მიხედვით). ცდებისათვის ვიყენებ-

დით იმ პრეპარატს, რომლის მაღალი ვირულენტობა წინასწარ იყო შემოწმებული ბინის თავგებზე და მისი ტიტრი 2 მილიარდ ბაქტერიაზე ნაკლები არ იყო. დახოცილ მემინდვრებს ვკვეთავდით, აღვრიცხავდით შინაგანი ორგანოების პათოლოგიურ-ანატომიურ ცვლილებებს. ვაკეთებდით აგრეთვე მიკრობიოლოგიურ ანალიზს, რისთვისაც ვაწარმოებდით გადათესვას ღვიძლიდან, გულიდან და ელენთიდან (ხვა, ხბა და ენდოს არეზე). გარდა ამისა, ვსაზღვრავდით მემინდვრების ასაკს, სქესსა და მათ გენერაციულ მდგომარეობას.

ბუჩქის მემინდვრის მიმღებლობის შესასწავლად მღრღნელების ტიფის ბაქტერიებისადმი, აგრეთვე მინიმალური სასიკვდილო დოზის განსაზღვრის მიზნით, მემინდვრების თითოეულ ინდივიდს ვათავსებდით გალიებში. შედარებით მაღალი დოზების მიცემის შემთხვევაში ვიყენებდით მარცვალზე დამზადებულ პრეპარატს, ხოლო დაბალი დოზების შემთხვევაში—თხევად სადედე კულტურას, რაც დამზადებული იყო ხოტინგერის ბულიონზე (ფქვილის ნარევი). ცლის შედეგები მოცემულია ცხრილში.

ბაქტერია № 5170-ის სასიკვდილო დოზის განსაზღვრა ბუჩქის მემინდვრისათვის

ვარიან- ტები	ბაქტერიების რაოდენობა თითოეულ ინდივიდზე (მლნ)	პრეპარატი	პრეპარა- ტის რაო- დენობა	საცდელი მე- მინდვრების რაოდენობა		სოკედილობა- ლის ვადები (დღეები)		საკვდილობა, პროც.
				პრეპარატი მიეცა	დიობო- ცა	მინიმუმ- მაქსიმ.	საშუ- ალო	
1	400—500	ზორბლის მარცვალზე დამზადებული	2—2,5 მარც.	6	6	1—3	2,3	100
2	200—250	"	1—1,5 მარც.	6	6	1—4	2,8	100
3	100—120	"	0,5—0,8 მარც.	10	10	2—7	3,7	100
4	55—60	თხევადი სადედე კულ- ტურა ცომის სახით	0,5 მლ + +0,5 გ ფქვილი	10	9	4—9	5	90
5	20—25	"	"	10	4	8—14	8,5	40
6	10—12	"	"	10	1	16	16	10
საკონტ- როლო— ბინის თავი	400—500	ზორბლის მარცვალზე დამზადებული	2—2,5 მარცვალი	5	5	5,7	6,6	100

ცხრილში მოყვანილია ბაქტერია № 5170-ის გამოცდის შედეგები. ანალოგიური მონაცემები მივიღეთ ბაქტერია ისაჩენკოს გამოყენების შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ ბაქტერიულ პრეპარატებს (როგორც მარცვალზე, ისე ფქვილის ცომზე დამზადებული) მემინდვრები ხარბად ლებულობენ. უპირატესობას მაინც მარცვალზე დამზადებულ პრეპარატებს ანიჭებენ.

როგორც ცხრილ-დან ჩანს, ბუჩქის მემინდვრია მაღალმიმღებია ბაქტერია № 5170-სადმი. დაავადება ყველა საცდელ ინდივიდში მიმდინარეობდა სწრაფად, აქტიურად და უმოკლეს ვადებში (2,3—3,7 დღე-ღამე). მემინდვრიების სრულ სიკვდილიანობას ვღებულობდით 100—120 მლნ ბაქტერიის მიცემის შემთხვევაშიც თითოეულ ინდივიდზე. ბუჩქის მემინდვრიის საინკუბაციო პერიოდს თითქმის 3-ჯერ უფრო ხანმოკლეა, ვიდრე ბინის თავისა (საკონტროლო), რაც, ჩვენი აზრით, აიხსნება ბუჩქის მემინდვრის ორგანიზმის სუსტად განვითარებული დამცველობითი თვისებით, ბინის თავითან შედარებით.

ყველა შემთხვევაში მივიღეთ ბაქტერიებით გამოწვეული დაავადების დამახასიათებელი პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები; ღვიძლი გადაიღებულა, მორუხო ფერის, ხშირად დაშლილი, ელენთა 2—4-ჯერ მომატებული ზომაში, უკუნაწლავში შეიმჩნევა სისხლის ჩაქცევები ან იგი სულ დაშლილი და გაყვითლებულია. ზოგჯერ მუცლის ღრუს შიგთავსი წარმოადგენს საერთოდ ერთმანეთში არეულ მასას.

ცხრილიდან აგრეთვე ჩანს, რომ ბუჩქის მემინდვრიასათვის მინიმალური სასიკვდილო დოზა ძალზე დაბალია (25—10 მლნ ბაქტერია თითოეულ ინდივიდზე). მაგრამ ამ დოზის გამოყენების შემთხვევაში შეიმჩნეოდა მემინდვრიების მხოლოდ ნაწილობრივი სიკვდილიანობა და სიკვდილიანობის ვადებიც მნიშვნელოვნად გახანგრძლივებული იყო. ამიტომ დაბალი დოზების გამოყენება პრაქტიკულად მიზანშეწონილი არ არის. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, პრაქტიკული მიზნებისათვის გამოვიყენოთ დოზა არანაკლები 100—120 მლნ ბაქტერიისა თითოეულ ინდივიდზე.

ჩატაროა ცდები, აგრეთვე, მემინდვრიების ბაქტერიისადმი ასაკობრივი მიმღებლობის დასადგენად, ბინის თავებთან შედარებით. გამოიკვია, რომ ხნიერი, სქესმიწიფე ინდივიდები უფრო მგრძობიარენი არიან ბაქტერიებისადმი, ვიდრე ახალგაზრდები, რაც გამოიხატება მათი დაავადების საინკუბაციო პერიოდის სხვადასხვა ხანგრძლივობით, მაგრამ ორივე ასაკობრივ ჯგუფში საცდელი მემინდვრიების სიკვდილიანობა სრული იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ბუჩქის მემინდვრის დაავადების საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობის სხვაობა ახალგაზრდა და ხნიერ ინდივიდებში უფრო ნაკლებადაა გამოხატული, ვიდრე ბინის თავის შემთხვევაში.

ცდების დროს, როდესაც მემინდვრებს ვაძლევდით ბაქტერიების ძალზე მცირე დოზას ან ნაკლებ ვირულენტურ პრეპარატს, შეიმჩნეოდა საცდელი ინდივიდების ერთი ჯგუფის გამოჯანმრთელება. ზოგიერთი მათგანი პრეპარატის განმეორებითი მიღების შემთხვევაში (5—10 დღის შემდეგ) არ ამჟღავნებდა ბაქტერიებისადმი მიმღებლობას, რაც მიუთითებს ამ ინდივიდების შექმნილი იმუნიტეტის შესახებ. მაგრამ შექმნილი იმუნიტეტის ხანგრძლივობა ბუჩქის მემინდვრიასათვის არ იყო ხანგრძლივი და იგი 20—30 დღე-ღამეს არ აღემატებოდა. აქედან გამომდინარე, მსგავსი მოვლენის თავიდან ასაცილებლად, მემინდვრიებთან ბრძოლის პრაქტიკაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხოლოდ ნალავირულენტური პრეპარატების გამოყენება.

დასკვნები

1. დადგენილია, რომ ბუჩქის მემინდვრია მაღალმიმღებიანია ბაქტერია ისაჩენკოსა და ბაქტერია № 5170-სადმი.

2. მარცვალზე დამზადებულ პრეპარატებს მემინდვრიები უფრო ხარბად ლებულობენ. ამიტომ მიზანშეწონილია ასეთი მისატყუარის გამოყენება.

3. მინიმალური დოზა, რომლის დროსაც უმოკლეს ვადებში ვლებულობდით მემინდვრიების 100%-ან სიკვდილიანობას, შეადგენს 100—120 მლნ ბაქტერიას თითოეულ ინდივიდზე, უფრო ნაკლები დოზის გამოყენების დროს შეიძენოდა მემინდვრიების არასრული სიკვდილიანობა და დაავადების საინკუბაციო პერიოდში მნიშვნელოვნად გაზანგრძლივებულია.

4. ბაქტერიისადმი უფრო მეტ მიმღებიანობას ამჟღავნებენ ხნეირი მემინდვრიები, ახალგაზრდა ინდივიდებთან შედარებით.

5. დაბალვირულენტური პრეპარატის გამოყენების შემთხვევაში ზოგერთ ინდივიდში შეიძლება განვითარდეს იმუნიტეტი, მაგრამ ამ შექნილი რეპონიტეტის ხანგრძლივობა არაა დიდი და ჩვენ ცდებში იგი 20—30 დღე-ღამეს არ აღემატებოდა.

საქართველოს სსრ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 5.9.1967)

ЗООЛОГИЯ

Д. М. БГРАДЗЕ, Е. Н. АХВЛЕДИАНИ

РЕЗУЛЬТАТЫ ИЗУЧЕНИЯ ВОСПРИИМЧИВОСТИ
 КУСТАРНИКОВОЙ ПОЛЕВКИ (*PITYMYS MAJORI* THOM.)
 К БАКТЕРИЯМ ТИФА ГРЫЗУНОВ

Резюме

В последние годы в практике борьбы с грызунами видное место занимает бактериологический метод. Однако для установления восприимчивости кустарниковой полевки к бактериям тифа грызунов не проводились исследования не только в Грузии, но и во всем Закавказье, хотя этот вопрос имеет важное теоретическое и практическое значение. Нами установлено, что кустарниковая полевка высоко восприимчива к бактериям тифа грызунов (были испытаны бактерии № 5170 и Исаченко). Даже при снижении дозы до 100—120 млн. бактерий на одну особь отмечалась полная гибель подопытных полевок в короткие сроки (2,3—3,7 суток). При более низких дозах (25 — 10 млн. бактерий на одну особь) гибель полевок была неполной и сроки гибели растянуты. Взрослые полевки оказались более восприимчивы к за-

ражению, чем молодые, что выразалось в разной длительности инкубационного периода при полной гибели обеих групп (молодых и взрослых) подопытных особей.

При скармливании полевкам слабовирулентного препарата отмечалось выживание части подопытных особей, некоторые из них приобретали иммунитет к повторному заражению. Длительность приобретенного иммунитета не превышала 25—30 суток.

დასოფამბული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. И. М. Беришвили, Е. Н. Ахвледиани. Испытание бактериальных препаратов... Защита растений от вредителей и болезней, № 15, 1963.
2. М. И. Прохоров. Эффективность использования новых бактерий в практике борьбы с мышевидными грызунами. Труды ВНИИ с.-х. микробиологии, XII, 1953.
3. М. И. Прохоров. Микробиологический метод борьбы... Л., 1966.
4. Л. Я. Синцова. Сухая культура бактерий для борьбы с мышевидными грызунами. Труды ВНИИ с.-х. микробиологии, т. XII, 1956.
5. Е. Н. Ахвледиани. Некоторые данные биоэкологии закавказской обыкновенной полевки... Труды Ин-та защиты растений ГССР, т. XVI, 1964.



УДК 595.42:001.4(47.922)

ЗООЛОГИЯ

Л. А. ГОМЕЛАУРИ

НОВЫЕ ВИДЫ КЛЕЩЕЙ СЕМЕЙСТВА *PHYTOSEIIDAE* (BERLESE)
 ИЗ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ (*ACARINA, GAMASOIDEA*)

(Представлено членом-корреспондентом Академии Л. П. Каландадзе 16.12.1967)

В наших сборах из Восточной Грузии обнаружены три новых вида клещей семейства *Phytoseiidae*. Описание этих видов приводится ниже.

1. *Amblyseius kalandadzei* Gomelauri sp. n.

Самка. Дорсальный щит округлый, гладкий, без скульптуры, с поперечной бороздкой у оснований AL_1 и D_2 . Дорсальных щетинок 17 пар (рис. 1, а); AL_1 достигают оснований AL_2 и несколько длиннее последних; D_1 более чем в два раза короче AM_1 и почти в два раза длиннее D_6 . ML и PL_1 мелкие, одинаковые, незначительно длиннее PL_1 и ML ; PM_1 и PM_2 гладкие, бичевидные; PM_2 в два раза длиннее PM_1 . AL_2 более чем в два раза короче PM_2 . (Номенклатура щетинок приводится по Вайнштейну [1, 2]). Дорсальных пор шесть пар.

Стернальный щит гладкий, шире своей длины, с тремя парами щетинок и с двумя парами щелевидных органов. Метастернальные щитки с одной парой щетинок. Генитальный щит гладкий, более узкий, чем вентрианальный, с парой щетинок. Экзоподальный щит с тремя коксальными выступами; эндоподальный в виде неправильной дуги у тазика IV. Перитремы достигают уровня оснований D_1 . Параподальных щитков две пары, из коих одна более крупная, в виде треугольника. Пальцы хелицер как на рис. 4, б.

Вентрианальный щит пятиугольный, наиболее широкий на уровне переднего края анальных клапанов, со слабовыраженным рисунком нескольких поперечных линий; с тремя парами преанальных щетинок, без пор; ширина равна длине (рис. 1, б). VI—четыре пары; VI_1 расположены почти у самого края вентрианального щитка; они выступают из хорошо выраженных воронкообразных углублений. Вокруг вентрианального щитка семь пар мелких склеритов. Макрохеты на лапке, голени и колене IV развиты хорошо (рис. 1, с); на ногах II и III макрохеты слабо развиты. На ногах I макрохеты не обнаруживаются.

Сперматека грушевидная (рис. 4, а). Размеры в мк: длина тела—462, ширина—273; длина ног: I—404, II—296, III—383, IV—374; длина щети-

нок: D_1 —22, D_2 —4, D_3 —4, D_4 —4, D_5 —4, D_6 —12, AM_1 —50, AM_2 —4, AL_1 —17, AL_2 —13, AL_3 —59, ML —6, PL_1 —6, PL_2 —9, PL_3 —9, PM_1 —97, PM_2 —125.

Описывается по одной самке, найденной в наземном мху в мае 1963 г. (окрестности г. Тбилиси). Зафиксирована в 70% спирту; препарат—на жидкости Фора, № 1180. Самец не обнаружен.




Рис. 1. *Amblyseius kalandadzei* sp. n.: а—спинной хетом, б—вентральная сторона опистосомы, с—макрохеты ноги IV (остальные щетинки ноги IV, как и в следующих рисунках, не показаны)

Дифференциальный диагноз: наибольшее сходство у *Amblyseius kalandadzei* проявляется с *A. fernandaezi* Chant [3], от которого он отличается относительной длиной щетинок на дорсальном щите, наличием дорсальных пор, формой вентрианального щита и отсутствием пор на нем, наличием семи пар мелких склеритов вокруг вентрианального щитка, формой сперматеки и другими признаками. Препарат хранится в отделе беспозвоночных животных Института зоологии АН ГССР.

2. *Amblyseius omaloensis* Gomelauri sp. n.

Самка. Дорсальный щит округлый, гладкий, без скульптуры. Дорсальных щетинок 17 пар (рис. 2, а). AL_1 и AL_2 почти одинаковой длины, мелкие, но длиннее, чем PL и D щетинки, кроме D_1 . AL_3 более чем в

полтора раза длиннее AM_1 ; D_1 в полтора раза меньше AM_1 ; ML едва длиннее PL щетинок; PM_2 менее чем в полтора раза длиннее PM_1 ; обе гладкие, бичевидные. Дорсальных пор пять пар.

Стернальный щит гладкий, шире своей длины, с тремя парами щетинок и двумя парами щелевидных органов. Метастернальные щитки с одной парой щетинок. Генитальный щит гладкий, более узкий, чем вентрианальный, с парой щетинок. Экзоподальный щит с тремя коксальными выступами; эндоподальный в виде неправильной дуги у тазика IV. Перитремы достигают уровня оснований D_1 . Параподальных щитков две пары, из коих одна более крупная, удлинненно-овальной формы. Ввиду недостаточности материала устройство пальцев хелицер не выяснено.




Рис. 2. *Amblyseius omaloensis* sp. n.: а—спинной хетом, б—вентральная сторона опистосомы, с—макрохеты ноги IV

